ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3517039

ნომერი: AR1534120

თარიღი : 21.08.2017

გაცემის თარიღი : 05.09.2017

გაცნობის თარიღი : 05.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 41 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გოგოძე პ/ნ 01008014709
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 32 ბ. 42

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. მისო რიკო ექსპრესი კოდი: 205034539

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, გამზირი ალ ყაზბეგი, N41 შპს ''მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი''-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სამსახურის 17.05.2017 წლის №3263057 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარეკლამო აბრის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე, სარეკონსტრუქციო სამუშაოების (კიბის საფეხურის და გარე სალაროს მოწყობა) განხორციელების შესაძლებლობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016405317 30/06/2016წ. საკადასტრო კოდი N 01.10.15.017.003.01.014, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი, სს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილება საკადასტრო გეგმა,) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, გამზირი ალ ყაზბეგი, N41 შპს ''მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი''-ს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სამსახურის 17.05.2017 წლის №3263057 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სარეკლამო აბრის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე, სარეკონსტრუქციო სამუშაოების (კიბის საფეხურის და გარე სალაროს მოწყობა) განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.